საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №366
2018 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 1445 – ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1446	5086	ა(ა)იპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“
1447	5087	ა(ა)იპ „აჭარის მწერალთა სახლი“

2. დანართ №3-ში, ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 3239 – „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ავტომობილის დგომა – გაჩერების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაუცველობისათვის“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი კოდები:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით სატვირთო ავტომობილის (N_1, N_2 და N_3 კატეგორიების) მოძრაობა ან ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდება/ტრანსპორტირება დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ადგილის ან/და დროის დარღვევისათვის	3238
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ გზებზე დადგენილი ავტობუსების გაჩერების ადგილების გარდა სხვა ადგილებზე გაჩერება ან ავტობუსების გაჩერების ადგილებზე სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების გაჩერება ან დგომისათვის	3240
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის	3241

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**